ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060609

ქვეპროგრამის დასახელება:

სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2026 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	3,960,000
სულ ბიუჯეტი:	3,960,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური და მორალური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევას, რაც ხელს შეუწყობს მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მატერიალური დახმარება 200 ლარის ოდენობით ოჯახს ჩაერიცხება საბანკო ანგარიშზე ყოველთვიურად.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებად განისაზღვროს:

1. სამი და მეტშვილიანი ოჯახი (16 წლამდე ასაკის ბავშვები), რომლის სარეიტინგო ქულაა 120 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 150 001 ქულაზე.
2. ოჯახი, რომლის 16 წლამდე ასაკის ერთი წევრი მაინც შშმ სტატუსის მქონე ბავშვია, ხოლო სარეიტინგო ქულაა 120 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 150 001 ქულაზე.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში“ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართად განსაზღვრული აქვთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორია და 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ასევე, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე მოქალაქეები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორია

(წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ)

ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით მოქალაქეს შეუძლია მიმართოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე მუნიციპალიტეტებს რეგისტრაციის ადგილის მიხედვით და წარადგინოს:

1. დაინტერესებული პირის განცხადება;
2. დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობის (ან სხვა დოკუმენტის, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია) ასლი;
3. ბენეფიციარობის დამადასტურებელი საბუთის ქსეროასლი;
4. ბავშვის/ბავშვების დაბადების მოწმობა;
5. დახმარების მიმღები პირის საბანკო რეკვიზიტი;

ქვეპროგრამის განხორციელების წესსა და მასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი შესაბამისი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური დახმარება	1650	2,400	3,960,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			3,960,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
თანხის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის ბენეფიციართა სოციალური დახმარება და მორალური მხარდაჭერა გაწეულია.

ფორმა # 3.2

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის ბენეფიციართა სოციალური დახმარება და მორალური მხარდაჭერა გაწეულია.	ბენეფიციართა რაოდენობა	1650	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიებიდან გამოთხოვილი მოქალაქეთა სიები